



ტერორიზმის კვლევითი ცენტრი  
Terrorism Research Center

# დაიჯესტი

19 – 23 ოქტომბერი

## საფრანგეთი

ფრანგი მასწავლებლის, სამუელ პატის, მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით [ჩატარებული საგამომიებო მოქმედებების შედეგად](#), სასამართლო პროცესზე დამატებით 7 ადამიანი წარსდგება. სასამართლოში წარსდგენ პირთა შორის ორი არასწრულწლოვანია.

მასწავლებლის მკვლელობის შემდეგ, საფრანგეთი [ექსტრემიზმში ექვმიტანილი 231 უცხოელის გაძევებას აპირებს](#). ინფორმაცია Europe 1 მოიპოვა, მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრს ჯერ არ დაუდასტურებია.

საფრანგეთის [ანტი-ტერორისტული პროკურორის ინფორმაციით ტერორისტმა](#) მკვლელმა სკოლის მოსწავლეებს ფულის სანაცვლოდ იმ მასწავლებლის იდენტიფიცირება მოსთხოვა, რომელმაც მათ კლასში მუჰამედის კარიკატურა აჩვენა. ჟან-ფრანსუა რიკარდის განცხადებით, მკვლელმა იცოდა მასწავლებლის სახელი და გვარი, სკოლის ლოკაცია მშობლის მიერ წამოწყებული კამპანიის საშუალებით, მაგრამ მას არ უნდა ჰქონოდა მისი იდენტიფიცირების საშუალება. მან თქვა, რომ მკვლელმა €300-€350 შესთავაზა მოსწავლეებს იდენტიფიცირების სანაცვლოდ. რიკარდმა ასევე დაადასტურა, რომ მკვლელს ჰქონდა კონტაქტი მუსლიმი გოგონას მამასთან, რომელმაც სოციალურ ქსელში მასწავლებლის წინააღმდეგ კამპანია წამოიწყო.

საფრანგეთის პრეზიდენტ [ემანუელ მაკრონსა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს შორის სატელეფონო საუბარი შედგა](#). მხარეებმა ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის კოოპერაციაზე ტერორიზმისა და არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ. ვლადიმირ პუტინმა მწუხარება გამოთქვა სამუელ პატის ბარბაროსული მკვლელობის გამო. რუსეთის საელჩოს სპიკერმა მომხდარზე განაცხადა, რომ მკვლელს არ ჰქონდა კავშირი რუსეთთან და 12 წლის განმავლობაში საფრანგეთში ცხოვრობდა.

მთავრობის სპიკერი, გაბრიელ ატალის განცხადებით, [საფრანგეთში აიკრძალება ისლამისტური დაჯგუფება შეიხ იასინის სახელით](#).

ლიონში, პოლიციამ [რკინიგზის სადგურის სრული ევაკუაცია](#) მოახდინა. პოლიციამ მაცხოვრებლებს შეატყობინა, რომ მიმდინარეობდა ოპერაცია და მოუწოდა თავი შეეკავებინათ ამ ტერიტორიაზე გადაადგილებისგან. ადამიანი, რომელსაც ჭურვების აფეთქება სურდა დააკავეს. უსაფრთხოების მიზნით პოლიციის ჯგუფმა დაათვალიერა სადგურის სრული ტერიტორია.

გამოცემა The Associated Press-თან ჩაწერილ ინტერვიუში, შეიარაღებული სეპარატისტული ორგანიზაცია, ეტას, უკანასკნელმა ლიდერმა, [ჯოსუ ტერნერამ ბოდიში მოიხადა ორგანიზაციის მიერ მიყენებული ზიანის გამო](#). 2020 წლის 19 ოქტომბერს, ორშაბათს, ჯოსუ ტერნერას სასამართლო პროცესი კვლავ გადაიდო.

### **მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი**

17 ოქტომბერს, სომხეთმა აზერბაიჯანის სიდიდით მეორე ქალაქ, [განჯაზე ბალისტიკური რაკეტით თავდასხმა](#) განახორციელა. განჯა კონფლიქტის ზონიდან შორსაა. ცნობილია, რომ 13 ადამიანი გარდაიცვალა და 40 დაჭრილია.

### **ინდოეთი**

ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, [სუბრაჰმანიამ ჯაიშანკარი აცხადებს](#), რომ ტერორიზმი, რომელიც პაკისტანის მთავრობის გაცხადებული პოლიტიკაა, ქვეყნებს შორის ნორმალური ურთიერთობის არსებობას ხელს უშლის. ინდოეთსა და პაკისტანს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გაცხარდა 2016 წლის ტერორისტული თავდასხმის შემდეგ პათანკოთის საჰაერო ძალების ბაზაზე.

პაკისტანის ერთ-ერთი პროვინციის, ბალოქისტანის ადგილობრივმა მინისტრმა ინდოეთი [ტერორიზმის დაფინანსებაში დაადანაშაულა](#). მან აღნიშნა, რომ ინდოეთი პირდაპირაა ჩართული ბალოქისტანში მშვიდობის განადგურებაში და ტერორისტულ აქტებს წელიწადში 500 მილიონი დოლარით აფინანსებს.

ეროვნული გამოძიების სააგენტოს განცხადებით, სასამართლომ 15 ადამიანს, რომელიც ტერორისტულ ორგანიზაცია დაემთან კავშირშია 5-10 წლამდე პატიმრობა მიუსაჯა. საქმე ეხება ინდოელი მუსლიმი [ახალგაზრდების დაემისთვის რეკრუტირებას](#).

### ნიგერია

ნიგერიის მთავრობამ [ტერორიზმის ბრალდებით 7 ადამიანის წინააღმდეგ აღძრა საქმე](#). მათი ბრალდება უკავშირდება აბორიგენი იდუმუჯე-უგბოკო მოსახლეობის წარმომადგენლების მკვლელობასა და 2017 წელს საცხოვრებელი სახლებისთვის ხანძრის გაჩენას.

ტერორისტულ ორგანიზაცია დაემთან დაკავშირებულმა [ჯიჰადისტებმა ნიგერიის სამხედრო ბაზაზე თავდასხმისას 14 სამხედროს სიცოცხლე შეიწირეს](#). წყაროების ინფორმაციით თავდასხმა დასავლეთ აფრიკის პროვინციის ისლამურმა სახელმწიფომ (ISWAP) განახორციელა. დასავლეთ აფრიკის პროვინციის ისლამური სახელმწიფო ტერორისტულ დაჯგუფება ბოკო ჰარამს 4 წლის წინ გამოეყო და მას შემდეგ მეტად ინტენსიურად ესხმის თავს სამხედრო ბაზებსა და პიროვნებებს.

### ტანზანია

2020 წლის 23 ოქტომბერს, ხუთშაბათს, სამხედრო ისლამისტური დაჯგუფების წევრებმა შეიარაღებული თავდასხმა განახორციელეს სოფელ კიტაიაზე, მტვარას რეგიონში. [მტვარას რეგიონალური პოლიციის გენერალური ინსპექტორის, სიმონ სიროს, განცხადებით, ექვმიტანილებმა მოზამბიკის საზღვარი გადაკვეთეს](#).

### ლიბია

ტრიპოლში 4 ადამიანი დააკავეს [ტერორისტულ დაჯგუფებასთან კავშირისთვის](#). კონტრ-ტერორისტული ძალების მეთაური, გენერალ მუჰამედ ალ-ზეინის განცხადებით ორი კონტრ-ტერორისტული ოპერაცია ჩატარდა ტრიპოლსა და ხომსში, რის შედეგადაც ოთხი ადამიანი

დააკავეს. დაკავებულებს შორის არიან უცხოელი ტერორისტი მებრძოლები.

### დიდი ბრიტანეთი

სტენსტედის აეროპორტში დაკავებულ 22 წლის ფლორიან ფლეგელს [ტერორიზმთან კავშირი ედება ბრალად](#). ფლეგელი გერმანიის მოქალაქეა, მისი სასამართლო პროცესი უესტმინისტერის მაგისტრატთა სასამართლოში გაიმართება.

[35 წლის მამაკაცი, სენტ ნოტსიდან](#), ინტერნეტ სივრცეში ავრცელებდა მასალას რასობრივი სიძულვილის გაღვივების მიზნით და არიგებდა ანტი-სემიტური შინაარსის ბროშურებს. მამაკაცს ბრალად ედება ტერორიზმისთვის გამოსადეგი დოკუმენტაციის ფლობა, სიძულვილის გამაღვივებელი მასალის ფლობა და გავრცელება.

29 წლის შეჰროზ იქბალი დამნაშავედ სცნეს [ტერორისტული მასალების გავრცელებასა და ტერორიზმის მხარდაჭერაში](#). იქბალი ტერორისტული ორგანიზაცია დაემის მხარდამჭერი იყო და ახდენდა მის სოციალურ მედიაში პოპულარიზაციას, მათ შორის გაავრცელა ვიდეორგოლი, რომელიც ცენტრალურ ლონდონზე თავდასხმას ახალისებდა.

### ირანი

ბელგიაში ირანელი დიპლომატის, [ასადოლა ასადის სასამართლო გაიმართება](#). ასადოლა ასადი 2018 წელს ვენაში ირანის საელჩოში იყო, როდესაც ორმა ირანელმა ბელგიელმა სცადა 500 გრამი TAPT ასაფეთქებელი საშუალების ირანელი დისიდენტების საერთაშორისო შეკრებაზე შეტანა პარიზში. მოგვიანებით გაირკვა, რომ ასაფეთქებელი ნივთიერებები ასადიმ პირადად მიაწოდა წყვილს ლუქსემბურგში. ოფიციალური თეირანი უარყოფს ასადის მიმართ ბრალდებებს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ასადი იქნება პირველი აკრედიტირებული დიპლომატი დასავლეთში, რომელიც ტერორიზმთან დაკავშირებული ბრალდებით გასამართლდება.

## ერაყი

ერაყის პარამილიტარისტული ქსელის, ჰამდ ალ-შააბის მხარდამჭერებმა ბაღდადში [ქურდისტანის დემოკრატიული პარტიის ოფისებს ცეცხლი წაუკიდეს](#). პროტესტანტებმა დაწვეს ქურთების დროშები, ზოგი მათგანი ატარებდა ირანელი გენერლის, ყასემ სოლეიმანისა და ერაყელი ლეიტენანტის, აბუ მაჰდი ალ-მუჰანდის, პლაკატებს. სოლეიმანი და ალ-მუჰანდი 2020 წლის იანვარში, ამერიკული დრონებით თავდასხმამ შეიწირა.

ერაყის სადაო პროვინცია, [კირკუკში თავდამსხმელმა 3 ადამიანს](#) ცეცხლი გაუხსნა და შემდეგ მათი გვამები დაწვა. მოკლულები ქურთი ძმები ჰარიზ და არამ მუსტაფა და მათი ბიძაშვილი ფეშავა არიან. მოკლულთა მამამ განაცხადა, რომ ექსტრემისტულ ჯგუფებსა და დაემს უკავშირებს მომხდარს.

ერაყის პრემიერ მინისტრი, [მუსტაფა ალ ქადიმი, ოფიციალური ვიზიტით, გერმანიის კანცლერს, ანგელა მერკელს შეხვდა](#). ალ ქადიმმა და მერკელმა განიხილეს გერმანიის ჩართულობა ტერორისტული ორგანიზაცია დაემის წინააღმდეგ შექმნილ კოალიციაში, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები უდგას სათავეში. ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ გერმანია გააგრძელებს დაემის წინააღმდეგ ერაყის მხარდაჭერას ანტი-დაემის კოალიციისა და ნატოს ფარგლებში.

პრემიერ მინისტრი, მუსტაფა ალ-ქადიმის სპიკერის სამხედრო საკითხებში, იეჰია რასოლის ინფორმაციით [ერაყის სამხედრო ძალებმა აღმოაჩინეს მასობრივი სამარხი](#). მისი განცხადებით სამარხში არის 50 ადამიანის სხეული, რომელიც სავარაუდოდ ტერორისტული ორგანიზაცია დაემის წევრების მიერ არიან მოკლულნი.

[გამოცემა KURDISTAN 24-ის განცხადებით](#), ამოუცნობი შეიარაღებული პირის მიერ განხორციელებული თავდასხმის შედეგად კირკუკის პროვინციაში 3 ქურთი ახალგაზრდა დაიღუპა. გარდაცვლილთა მშობლებმა KURDISTAN 24-თან გაკეთებულ განცხადებაში ბრალი დაემს და სხვა რადიკალურ დაჯგუფებებს დასდეს.

### თურქეთი

თურქეთში საფრანგეთის მიერ ძეზნილი ტერორისტული ორგანიზაცია [დაემის მეზრმოლი დააკავეს](#). 30 წლის სუმაია რაისი თურქეთის ადანის პროვინციაში დააკავეს, სადაც ის ყალბი სირიული იდენტობით ცხოვრობდა. რაისმა დაკითხვისას ბრალი უარყო და განაცხადა, რომ საფრანგეთიდან მის მოძალადე ქმარს გამოექცა. ინტერპოლმა გამოსცა გაფრთხილება რაისის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ საშიში ქმედებების განხორციელება შეუძლია და რაც შეიძლება სწრაფად უნდა იქნას დაკავებული.

### ავღანეთი

თვითმკვლელმა ტერორისტმა, ცენტრალურ ავღანეთში პროვინციის პოლიციის სათაო [შენობასთან მანქანა ააფეთქა](#). აფეთქებამ 15 ადამიანი იმსხვერპლა, 150 კი დაშავებულია. მომხდარზე პასუხისმგებლობა არავის აუღია, თუმცა ავღანეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო თალიბანის ბრალეულობას კვეთს.

მიუხედავად კატარში მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებებისა, [თალიბანი თავდასხმებს არ წყვეტს](#). სამხრეთ ჰემლანდის პროვინციაზე უწყვეტი თავდასხმების საპასუხოდ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საჰაერო თავდასხმები განახორციელა პარტნიორი ხელისუფლების მხარდასაჭერად.

2020 წლის 20 ოქტომბერს, სამშაბათს, ტერორისტული ორგანიზაცია, თალიბანის, მიერ განხორციელებული შეიარაღებულ თავდასხმას მსხვერპლი მოჰყვა ტახარის რეგიონში. [ტახარის პროვინციის ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის განცხადებით](#), თავდასხმის შედეგად გარდაცვლილია 34 სამხედრო. გარდაცვლილთა შორისაა ტახარის პროვინციის საპატრულო პოლიციის უფროსის მოადგილე.

## სირია

[ჰაიათ თაჰრირ ალ-შამი](#) (HTS), ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადებული დაჯგუფებაა. ორგანიზაციის შარიათის საბჭო განუდგა ჯიჰადისტ იდეოლოგიას, აბუ მოჰამედ ალ-მაქდისის. ალ-მაქდისი ხშირად უწევდა ჰაიათ თაჰრირ ალ-შამს კონსულტაციას იდეოლოგიურ საკითხებში.

## სომალი

2020 წლის 20 ოქტომბერს, სამშაბათს, [სომალის ეროვნული არმიის მიერ განხორციელებული სამხედრო სპეცოპერაციის შედეგად](#) მოხდა რადიკალურ ისლამისტ მემბოხეთა ჯგუფის, [ალ-შაბაბის](#), 19 მებრძოლის ლიკვიდაცია.

## ჩადი

2020 წლის 20 ოქტომბერს, სამშაბათს, ტერორისტული ორგანიზაცია, ბოკო ჰარამის, მიერ საკატრულო სამხედრო ჯგუფებზე [განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის შედეგად](#), ჩადის ტბის რეგიონში (ნიგერიის საზღვარზე) 6 ჯარისკაცი დაიღუპა. გენერალ, [აზემ ბერმენდო აგაუნას](#) განცხადებით, თავდასხმის შედეგად დაჭრილია 12 ჯარისკაცი.

## კამერუნი

კამერუნში ნიგერიის საზღვართან არსებული [60-ზე მეტი სკოლა დაიკეტა](#) ტერორისტული ორგანიზაცია, ბოკო ჰარამისგან, თავის დასაცავად. ოსმანუ გარგა, კამერუნის განათლების სამინისტროს წარმომადგენელი, აცხადებს რომ ბოლო დროს ბოკო ჰარამის მიერ ჩადენილი თავდასხმები საფრთხის ქვეშ აყენებს სკოლებს, რის გამოც მიიღეს ეს გადაწყვეტილება. კამერუნის სამხედრო ძალები კვირაში სულ მცირე 3 თავდასხმას აფიქსირებენ.

## კენია

მანდერაში, პოლიციამ ტერორისტული ორგანიზაცია [ალ შაბაბის თავდასხმის შეჩერება მოახერხა](#). თავდასხმა სომალის საზღვართან არსებულ უსაფრთხო ბანაკზე იგეგმებოდა. დაშავებულები არ არიან.



## ავსტრალია

ავსტრალიის პოლიცია აცხადებს რომ [მემარჯვენე ექსტრემიზმმა იმატა ახალგაზრდებში](#). ავსტრალიის პოლიციის მაღალჩინოსანი, იან მაკარტი აცხადებს, რომ აგრესიულად ხდება ახალგაზრდების რადიკალიზაცია, როგორც რეალურ სივრცეში, ისევე ონლაინ.

## ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებულ შტატებში [მიმდინარე სასამართლო პროცესი პრო-პალესტინური ჯგუფების გამარჯვებით დასრულდა](#). ფედერალურმა სასამართლომ ჩიკაგოში დაადგინა, რომ ორ ჯგუფს - ამერიკელ მუსლიმებს პალესტინისთვის (AMP) და ამერიკელები სამართლიანობისთვის პალესტინაში (AJP) არ ეკისრებათ 156 მილიონი დოლარის გადახდა მიყენებული ზიანისთვის სტენლი და ჯოის ბოიმისთვის. ბოიმების წყვილი ცდილობდა კომპენსაციის მოპოვებას ანტი-ტერორისტული აქტის შესაბამისად, რომელიც საერთაშორისო ტერორიზმის მსხვერპლთა ოჯახებს აძლევს კომპენსაციის სასამართლოს გზით მოპოვების შესაძლებლობას.

2020 წლის 19 ოქტომბერს, ორშაბათს, [დონალდ ტრამპმა ახალი სანქციები დაანონსა](#) ბიზნესმენ აჰმედ ლუქმან თალიბის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად ტერორისტულ ორგანიზაცია, **ალ-კაიდასთვის**, ფინანსური დახმარების გაწევა ედება ბრალად.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, [დონალდ ტრამპმა მიიღო გადაწყვეტილება სუდანის ტერორიზმის სპონსორთა ეროვნული სიიდან ამოღების შესახებ](#). პრეზიდენტის განცხადებით, სუდანის სიიდან ამოღება მოხდება მას შემდეგ, რაც სუდანი 355 მილიონი დოლარის კომპენსაციას გადაუხდის ტერორიზმის მსხვერპლთა ოჯახებს აშშ-ში. აშშ-ს პრეზიდენტს აქვს უფლებამოსილება სიიდან სუდანის ამოსაღებად, მაგრამ 45 დღის განმავლობაში კონგრესს შეუძლია გადაწყვეტილების გაპროტესტება. წყაროებს მიაჩნიათ, რომ პრობლემა არ უნდა შეიქმნას იმის გათვალისწინებით, რომ კონგრესის უმრავლესობას

რესპუბლიკელები აკონტროლებენ და დემოკრატია ნაწილი მხარს უჭერს ამ გადაწყვეტილებას.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, [მაიკ პომპეოს განცხადებით](#) ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკვე დაიწყო სუდანის ტერორიზმის სპონსორთა ეროვნული სიიდან ამოღების პროცესი. მან განაცხადა, რომ აშშ-ს წარმომადგენლები მუშაობენ ოფიციალური ხარტუმის მიერ ისრაელის აღიარების საკითხზე, პომპეო იმედოვნებს, რომ ეს ყოველივე მალე მოხდება.

### სუდანი

[სუდანის ეკონომიკური დაგეგმარებისა და ფინანსთა მინისტრმა](#) განაცხადა, რომ სუდანის მხრიდან ტერორიზმის მსხვერპლთა ოჯახებისათვის კომპენსაციის გადახდა ემსახურება სუდანის ტერორიზმის სპონსორთა სიიდან ამოღებას. მან თქვა, რომ ეს აქტი არანაირად არ არის ისრაელთან ურთიერთობის ნორმალიზების დაპირება. მან ასევე გამოთქვა მოლოდინი ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან სანქციების გაუქმების შემდეგ ეკონომიკური და ტექნიკური განვითარების შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, [დონალდ ტრამპი სოციალურ ქსელში ავრცელებს განცხადებას სუდანსა და აშშ-ს შორის მიღწეული შეთანხმების შესახებ.](#) განცხადებაში აღნიშნულია, რომ სუდანი დათანხმდა ისრაელთან ურთიერთობის ნორმალიზებას. მან ასევე აღნიშნა რომ არაბეთის გაერთიანებულ საემიროებთან და ბაჰრეინთან ერთად, სუდანი მესამე ქვეყანაა რომელმაც ეს ნაბიჯი გადადგა ბოლო რამოდენიმე კვირის განმავლობაში.

### საუდის არაბეთი

ახალ აუდიო განცხადებაში, დაეშა მოუწოდა საკუთარ მიმდევრებს, რომ [ტერორისტული თავდასხმები მიმართონ გაზსადენი მიწებისა და ეკონომიკური ინფრასტრუქტურისაკენ საუდის არაბეთში.](#) განცხადება დაემის ტელეგრამის არხზე გავრცელდა.

### კანადა

ტორონტოს პოლიციის განცხადებით, [28 წლის მამაკაცს ჰამილტონიდან ბრალი ედება ტერორიზმში](#), რაც მის მიერ სკოლის მიმართ ონლაინ სივრცეში გავრცელებულ მუქარას მოჰყვა. მოგვიანებით გაირკვა, რომ მან სხვა მამაკაცს უთხრა, რომ შეიარაღებულია და ტორონტოს ერთ-ერთ სკოლაში სროლას აპირებს. ტორონტოს პოლიციამ მისი დაკავება მოახერხა.